იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი **01.05.2026 წ.**

ერთის მხრივ, **სს "ლისი ლეიქ დეველოპმენტი"** ს/კ 404857534 (შემდგომში "მეიჯარე") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკა ხაზარაძის სახით და

მეორეს მხრივ, **შპს "ლისის ტბის რეკრეაცია"** ს/კ 404947625 (შემდგომში "მოიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის კახაბერ ხიდეშელი სახით, მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულებას) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად დროებით სარგებლობაში იჯარით იღებს შემდეგ უძრავ ქონებას ***(შემდგომში - იჯარის საგანი):***

1.1.1. მის.: ქ.თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, **საკ. კოდი: 01.14.17.001.102 და 01.14.17.001.232.**

1.2. მეიჯარემ უნდა გადასცეს, ხოლო მოიჯარემ მიიღოს უფლებრივად უნაკლო იჯარის საგანი.

1.3. მოიჯარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად იჯარის საგნით სარგებლობის უფლება გულისხმობს იჯარის საგნით თავისუფალი და უწყვეტი სარგებლობის უფლებას მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოსაყენებლად (თუკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის), რაც მოიცავს მოიჯარისათვის უფლების მინიჭებას, რათა ამ უკანასკნელმა ისარგებლოს იჯარის საგნით და მასთან მისასვლელებით. ამასთან, მოიჯარე უფლებამოსილია იჯარის საგანი გამოიყენოს შემდეგი ტიპის საქმიანობისათვის:

1.3.1. კომერციული საქმიანობა, მათ შორის, დასასვენებელი და საკვები ობიექტების მოწყობა და მათი ოპერირება.

1.4. მოიჯარეს უფლება აქვს გასცეს საიჯარო ქონება ქვეიჯარით ნებისმიერ მესამე პირზე, რაზეც მეიჯარე აცხადებს წინასწარ წერილობით თანხმობას.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მეიჯარე უფლებამოსილია:

2.1.1. მოითხოვოს მოიჯარისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.1.2. მოითხოვოს მოიჯარის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს იჯარის საგანს ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის ან აზიანებს მას;

2.1.3. შევიდეს იჯარით გაცემულ ფართზე, რათა მოახდინოს მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (მაგ. ფართის მიზნობრივი გამოყენების) შესრულების შემოწმება;

2.1.4. მოიჯარის ან მისი კლიენტების მიერ იჯარის საგნის ნებისმიერი გაუარესების შემთხვევაში, მოსთხოვოს ქონების აღდგენა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში არ დაიწყებს აღნიშნული ქმედებების შესასრულებლად საჭირო ქმედების განხორციელებას, მეიჯარეს უფლება ექნება მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს მოიჯარეს იჯარის საგნის განთავისუფლება;

2.1.5. მოიჯარესთან შეთანხმების გარეშე დატვირთოს იპოთეკით საიჯარო ქონება.

2.1.6. ყოველგვარი წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება თუკი მოიჯარე არღვევს საიჯარო ქირის გადახდის, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ წესებსა და ვადებს და ამასთან, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევის ვადა აღემატება 10 (ათი) სამუშაო დღეს;

2.1.7. ჩაატაროს იჯარის საგნის მიმდებარე ტერიტორიაზე ღონისძიებები, რომელთა შესახებ წინასწარ აცნობებს მოიჯარეს;

2.1.8. გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

2.2. მეიჯარე ვალდებულია:

2.2.1. მოიჯარეს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება;

2.2.2. დაიცვას ხელშეკრულების" სხვა პირობები.

2.3. მოიჯარე უფლებამოსილია:

2.3.1. მეიჯარისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;

2.3.2. იჯარის საგნის ტერიტორიაზე განათავსოს მის ან მასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის საგანთან დაკავშირებული სარეკლამო მასალები მხოლოდ მეიჯარის წინასწარი თანხმობის საფუძველზე;

2.3.3. გამოიყენოს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

2.4. მოიჯარე ვალდებულია:

2.4.1. უზრუნველყოს საიჯარო გადასახადის გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად;

2.4.2. თუკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის, იჯარის საგანი გამოიყენოს მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის და არ დაუშვას იჯარის საგნის ფუნქციის შეცვლა მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

2.4.3. განახორციელოს იჯარის საგნის მოვლა-პატრონობა, იქონიოს იგი სრულ წესრიგში და იჯარის საგანთან მიმართებაში დაიცვას ტექნიკური ექსპლუატაციის, სანიტარულ-ჰიგიენური, უსაფრთხოების (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო) წესები და ნორმები, აგრეთვე მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები;

2.4.4. იჯარის საგნის მნიშვნელოვანი სახეცვლილება (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები) შეათანხმოს მეიჯარესთან;

2.4.5. გადაუხადოს მეიჯარეს პირგასამტეხლო ყოველთვიური საიჯარო ქირის 0.1% ოდენობით საიჯარო გადასახადის გადახდის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

2.4.6. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

3. იჯარის მოქმედების ვადა, საიჯარო გადასახადი და ანგარიშსწორების წესი

3.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 10 თვის ვადით.

3.2. საიჯარო გადასახადი განისაზღვრება ყოველთვიურად, სეზონების მიხედვით: მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბრის თვეებში 4,500 ლარი დღგ-ის ჩათვლით, ხოლო დანარჩენ თვეები 1000 ლარი დღგ-ის ჩათვლით.

3.3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეიჯარის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით არაუგვიანეს ყოველი სამეურნეო თვის 10 რიცხვამდე.

3.4. მოიჯარე ვალდებულია დამოუკიდებლად გადაიხადოს შესაბამისი მომწოდებლის მიერ მოწოდებული ტელეფონის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლისა და სხვა კომუნალური მომსახურების გადასახადები.

3.5. ვადის გასვლის შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე 10 თვის ვადით, თუ ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე მხარეები არ გამოხატავენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

4.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

4.1.2. მხარეთა წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

4.2. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ:

4.2.1. მეიჯარე არ არის უფლებამოსილი, ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში, გარდა ორი შემთხვევისა:

4.2.3.1. მოიჯარეს მხრიდან ადგილი აქვს საიჯარო ქირის გადაუხდელობას.

4.2.3.2. მოიჯარის მხრიდან იჯარის საგნის გამოყენება ხდება არამიზნობრივად, ან ხდება იჯარის საგნის დაზიანება.

4.3. ხელშეკრულების დასრულების ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს დაუბრუნოს იჯარის საგანი იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა მეიჯარისაგან (ბუნებრივი ცვეთის, ამორტიზაციისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით). იჯარის საგნის დაბრუნებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად გავრცელდება მხარეებზე.

5. სარემონტო სამუშაოები

5.1. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარეს სურს იჯარის საგანზე ჩაატაროს არსებითი ხასიათის სარემონტო სამუშაოები, და/ან იჯარის საგანს მნიშვნელოვნად შეუცვალოს სახე (რაც გულისხმობს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, იჯარის საგნის მყარი კონსტრუქციების მნიშვნელოვან სახეცვლილებას და/ან იჯარის საგნის გარეგნული იერსახის შეცვლას), მოიჯარე ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს მეიჯარესთან ამგვარი არსებითი ხასიათის რემონტი ან სახეცვლილება.

5.2. სარემონტო სამუშაოების შეთანხმების შემდეგ მოიჯარე (და/ან მისი ქვეკონტრაქტორი) იჯარის საგანზე საკუთარი ხარჯით (შემდგომში - სარემონტო ხარჯები) ჩაატარებს სარემონტო სამუშაოებს;

5.3. მოიჯარე იტოვებს სრულ უფლებას მის მიერ იჯარის საგანზე დამონტაჟებულ ნებისმიერ მოწყობილობაზე, დანადგარზე და სხვა ნივთებზე, რომლის მოხსნა და თან წაღებაც მას სურს ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მოწყობილობა-დანადგარებისა და სხვა ნივთების გატანა იჯარის საგნიდან მოხდეს იჯარის საგნის დაზიანების გარეშე, ან იჯარის საგნის მეიჯარისათვის დაბრუნებამდე უნდა აღმოფხვრას აღნიშნული დაზიანებები.

6. ფორს-მაჟორული გარემოება

6.1. ხელშეკრულებაში გამოყენებული მნიშვნელობით, ტერმინი ფორს-მაჟორული გარემოება გულისხმობს შემდეგი გარემოების არსებობას (რომელიც უშუალო ზეგავლენას უნდა ახდენდეს შესაბამისი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე):

6.2. ხანძარი და აფეთქება (გარდა იმ შემთხვევისა, რაც გამოწვეულია რომელიმე მხარის მიერ), სტიქიური უბედურება;

6.3. სამხედრო მოქმედებები, აჯანყებები, არეულობები, სამოქალაქო ომები და მღელვარებები;

6.4. საკანონმდებლო აქტის გამოცემა, რომელიც კრძალავს იმ საქმიანობის განხორციელებას, რასაც ახორციელებს ხელშეკრულების რომელიმე მხარე;

6.5. მხარეთა კონტროლს დაუქვემდებარებელი ნებისმიერი სხვა გარემოება. ამასთან, ეს გარემოებები მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

6.6. იჯარის საგანთან ან მის მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს რომელიმე მხარის მიერ მისი ვალდებულების შესრულების, ან უფლების განხორციელების შეუძლებლობას, მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედების გამო, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომისთანავე აცნობოს სხვა მხარეებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის თაობაზე და ასეთ შემთხვევაში, მის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ვადით. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის და ამის გამო იჯარის საგნის გამოყენების შეუძლებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში საიჯარო გადასახადი (ან საიჯარო გადასახადის შესაბამისი ნაწილი, თუკი ფორს-მაჟორული გარემოება ეხება მხოლოდ იჯარის საგნის რომელიმე ნაწილს) ექვემდებარება გადახდას მოიჯარის მიერ.

6.7. თუ ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედება გრძელდება 60 (სამოცი) დღეზე მეტ ხანს, ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ამ შემთხვევაში თითოეული მხარე ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს შეწყვეტამდე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულება.

7. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

871. მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

7.1.1. რეგისტრირებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმებლობასთან სრულ შესაბამისობაში;

7.1.2. აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;

7.1.3. ხელშეკრულების ხელმოწერით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.
7.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ იცნობენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

8. კონფიდენციალობა

8.1. ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება სასამართლოში.

10. ზოგადი დებულებები

10.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით;
10.2. ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე;
10.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი;
10.4. ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაში (და/ან დანართ(ებ)ში) ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დამოწმებულია სანოტარო წესით (და/ან რეგისტრირებულია შესაბამის ორგანოში), ამგვარი ცვლილება და დამატება, ასევე მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას (და/ან რეგისტრაციას შესაბამის ორგანოში);
10.5. ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება;
10.6. ხელშეკრულება აუქმებს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ და ხელშეკრულების ხელმოწერამდე მიღწეულ ყველა სახის შეთანხმებას, დამოუკიდებლად მისი ფორმისა.
10.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს;
10.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაციები უნდა ჩაბარდეს პირადად ან გაიგზავნოს დაზღვეული გზავნილით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე. ამასთან, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება მხარეების რეკვიზიტებს, სხვა მხარე(ებ)ს უნდა ეცნობოთ ამგვარი ცვლილებიდან 3 (სამი) დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული მხარის მიერ, და სხვა მხარე(ებ)ს არა აქვს მიღებული შესაბამისი შეტყობინება რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

11. მხარეთა რეკვიზიტები/ხელმოწერები

„მოიჯარე“: **შპს „ლისის ტბის რეკრეაცია“** მისამართი: ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საიდენ/კოდი: 404947625 ს.ს „თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE06TB7393536080100002 **დირექტორი** **კახაბერ ხიდეშელი**	**„მეიჯარე“:** **სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“** მისამართი: ქ. თბილისი, ნეკერჩხლის ქუჩა N6 საიდენ/კოდი: 404857534 ს.ს „თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE95TB1185836020100005 **გენერალური დირექტორი** **ნიკა ხაზარაძე** _____

ქვეიჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი **10 სექტემბერი 2026 წელი**

ერთი მხრივ, **შპს „ლისის ტბის რეკრეაცია"** (ს/კ 404947625) (შემდგომში - „ქვემეიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, კახაბერ ხიდეშელის სახით და მეორე მხრივ, **შპს „კავკასუს ავტომოტივი"** (ს/კ: 405302836) (შემდგომში - „ქვემოიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **მანანა ხინაშვილის** სახით („ქვემეიჯარე" და „ქვემოიჯარე" ერთად მოიხსენიებიან, როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ", კონტექსტის შესაბამისად), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ქვეიჯარის ხელშეკრულება") შემდეგზე:

პრეამბულა:
ვინაიდან, სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ" (ს/კ 404857534) წარმოადგენს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის მესაკუთრეს, ხოლო შპს „ლისის ტბის რეკრეაციას" იჯარით აღებული აქვს აღნიშნული მთლიანი ტერიტორია, მეიჯარე - სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ" თანხმობას აცხადებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის ქვეიჯარით გაცემის თაობაზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქვემეიჯარე გადასცემს, ხოლო ქვემოიჯარე სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად დროებით სარგებლობაში ქვეიჯარით იღებს შემდეგ უძრავ ქონებას (შემდგომში - „ქვეიჯარის საგანი"): ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი 01/014) (ს/კ 01.14.17.001.232), ლისის ტბის ცენტრალური მოედნის ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 18 კვ.მ ფართს.
1.2. ქვემეიჯარემ უნდა გადასცეს, ხოლო ქვემოიჯარემ მიიღოს უფლებრივად უნაკლო ქვეიჯარის საგანი.
1.3. ქვემოიჯარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად ქვეიჯარის საგნით სარგებლობის უფლება გულისხმობს ქვეიჯარის საგნით თავისუფალი და უწყვეტი სარგებლობის უფლებას ქვემოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის გამოსაყენებლად (თუკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის), რაც მოიცავს ქვემოიჯარისათვის უფლების მინიჭებას, რათა ამ უკანასკნელმა ისარგებლოს ქვეიჯარის საგნით და მასთან მისასველელებით. ამასთან, ქვემოიჯარე უფლებამოსილია ქვეიჯარის საგანი გამოიყენოს შემდეგი ტიპის საქმიანობისთვის:
1.3.1 ქვემოიჯარე ქვეიჯარის საგანზე 2026 წლის 11 სექტემბრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განათავსებს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ 18 კვ.მ (6x3) ფართობის მქონე რკინის კონსტრუქციას, რომელშიც განთავსებული იქნება Zeekr-ის მარკის ავტომობილი. აღნიშნული კონსტრუქციის განთავსების მიზნებისთვის, შესაბამის თანხმობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოიპოვებს ქვემოიჯარე.
1.4 ქვემოიჯარეს არ აქვს უფლება გამოიყენოს ფართი ნებისმიერი სხვა სახით ქვემეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
1.5 ქვეიჯარის საგანი ქვემოიჯარეს გადაეცემა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. **ქვემეიჯარე უფლებამოსილია:**
2.1.1 მოითხოვოს ქვემოიჯარისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
2.1.2 მოითხოვოს ქვემოიჯარის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ ქვემოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს ქვეიჯარის საგანს ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისთვის ან აზიანებს მას;
2.1.3 შევიდეს იჯარით გაცემულ ფართზე, რათა მოახდინოს ქვემოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (მაგ. ფართის მიზნობრივი გამოყენების) შესრულების შემოწმება;
2.1.4 ქვემოიჯარის ან მისი მომხმარებლების მიერ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით ქვეიჯარის საგნის ნებისმიერი გაუარესების შემთხვევაში, მოსთხოვოს ქონების აღდგენა ან მიყენებული პირდაპირი სახის ზიანის ანაზღაურება ქვემეიჯარის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში;
2.1.5 წინასწარი წერილობითი გაფრთხილების გარეშე მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუკი ქვემოიჯარე არღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებას 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
2.1.6 ჩაატაროს ქვეიჯარის საგნის მიმდებარე ტერიტორიაზე ღონისძიებები, რომელიც არ შეუშლის ხელს ქვემოიჯარეს ქვეიჯარის საგნის შეუფერხებელ სარგებლობაში და რომელთა შესახებ წინასწარ აცნობებს ქვემოიჯარეს;
2.1.7 გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.
2.2. **ქვემეიჯარე ვალდებულია:**
2.2.1 ქვემოიჯარეს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით;
2.2.2 დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა პირობები;
2.2.3 ქვემოიჯარეს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქვეიჯარის ქონება, გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში;
2.2.4 ქვემოიჯარეს მისცეს შესაძლებლობა სრულად გაეცნოს ქვეიჯარის საგნის მდგომარეობას;

2.2.5 ხელი არ შეუშალოს ქვემოიჯარეს ქვეიჯარის საგნით სარგებლობაში და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა ქვემოიჯარემ შეძლოს ქვეიჯარის საგნის გამოყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების, პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

2.2.6 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

2.2.7 ქვეიჯარის საგანზე განთავსებული კონსტრუქცია უზრუნველყოს დენის წყაროთი მთელი ქვეიჯარის პერიოდის განმავლობაში.

2.3. **ქვემოიჯარე უფლებამოსილია:**

2.3.1. ქვემეიჯარისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება;

2.3.2. გამოიყენოს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები;

2.3.3. ქვემეიჯარის წინასწარი თანხმობის გარეშე არ განათავსოს რეკლამა ქვეიჯარის საგანზე განთავსებულ კონსტრუქციაზე, მათ შორის, მის სახურავსა და ფასადზე.

2.4. **ქვემოიჯარე ვალდებულია:**

2.4.1. უზრუნველყოს საიჯარო გადასახადის გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად;

2.4.2. თუკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის, ქვეიჯარის საგანი გამოიყენოს მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის და არ დაუშვას ქვეიჯარის საგნის ფუნქციის შეცვლა ქვემეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

2.4.3. გადაუხადოს ქვემეიჯარეს პირგასამტეხლო ყოველთვიური საიჯარო ქირის 0.1%-ის ოდენობით საიჯარო გადასახადის გადახდის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

2.4.4. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

3. ქვეიჯარის ქირა და ანგარიშსწორების პირობები

3.1. წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულების ფარგლებში 1 (ერთი) თვის (საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე) ქვეიჯარის ქირა შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს გარეშე.

3.2. ქვემოიჯარე ვალდებულია ქვეიჯარის ქირა ქვემეიჯარეს გადაუხადოს ყოველთვიურად, საანგარიშო პერიოდის მიმდინარე თვის 10 რიცხვამდე.

3.3. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ქვემეიჯარის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3.4. ქვემოიჯარის მხრიდან ქვეიჯარის ქირის გადახდის ვალდებულება დაიწყება წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

3.5. არასრული კალენდარული თვის შემთხვევაში, ქვეიჯარის ქირა დაანგარიშდება შემდეგნაირად: ყოველთვიური საიჯარო ქირა გაყოფილი საანგარიშო კალენდარულ თვეში არსებული დღეების რაოდენობაზე და გამრავლებული საანგარიშო კალენდარულ თვეში საიჯარო საგნის ქვემოიჯარის მფლობელობაში არსებული დღეების რაოდენობაზე.

3.6. იმ შემთხვევაში, თუ ქვეიჯარის საგნის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის გამო ქვემოიჯარე დაკარგავს ქვეიჯარის საგნით სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობას, იგი გათავისუფლდება ქვეიჯარის ქირის გადახდის ვალდებულებისაგან იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მას არ ექნება ქვეიჯარის საგნით სრულფასოვანი სარგებლობის საშუალება.

3.7. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა მოიცავს კომუნალურ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

4.2.1მისი მოქმედების ვადის ამოწურვით;

4.2.2მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.2.3 ერთ-ერთი მხარის მიერ, მეორე მხარისთვის 2 (ორი) კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს;

4.2.4 ქვემოიჯარის მიერ ცალმხრივად, ნებისმიერ დროს, ქვემეიჯარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, მათ შორის იმ შემთხვევაში თუ ქვემოიჯარე ვერ მოიპოვებს წინამდებარე ხელშეკრულების 1.3.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხმობას;

4.2.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ ქვემოიჯარე ვადაზე ადრე, ცალმხრივად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოშლის (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ქვემეიჯარე უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს ან/და იგი ვერ მოიპოვებს ხელშეკრულების 1.3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თანხმობას) წინამდებარე ხელშეკრულებას, იგი ვალდებული იქნება ქვემეიჯარეს გადაუხადოს 3.1 პუნქტით განსაზღვრული საიჯარო ქირის დარჩენილი, გადაუხდელი ნაწილი.

4.4 ქვემეიჯარე არ არის უფლებამოსილი ცალმხრივად მოშალოს ქვეიჯარის ხელშეკრულება მისი მოქმედების განმავლობაში, გარდა წინამდებარე შემთხვევებისა:

4.4.1 ქვემოიჯარემ 10 (ათი) კალენდარული დღით გადააცილა საიჯარო ქირის გადახდის ვადას;

4.4.2 ქვემოიჯარე ქვეიჯარის საგანს იყენებს არამიზნობრივად ან ხდევა ქვეიჯარის საგნია დაზიანება.

4.5 ხელშეკრულების დასრულების ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ქვემოიჯარე ვალდებულია ქვემეიჯარეს დაუბრუნოს ქვეიჯარის საგანი იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მიიღო, ბუნებრივი ცვეთის, ამორტიზაციისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით). ქვეიჯარის საგნის დაბრუნებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად გავრცელდება მხარეებზე.

5. სარემონტო სამუშაოები

5.1 საჭიროებისამებრ, იმ შემთხვევაში, თუ ქვემოიჯარეს სურს ქვეიჯარის საგანზე ჩაატაროს არსებითი ხასიათის სარემონტო სამუშაოები ან/და ქვეიჯარის საგანს მნიშვნელოვნად შეუცვალოს სახე (რაც გულისხმობს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, ქვეიჯარის საგნის მყარი კონსტრუქციების მნიშვნელოვან სახეცვლილებას ან/და ქვეიჯარის საგნის გარეგნული იერსახის შეცვლას), ქვემოიჯარე ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს ქვემეიჯარესთან ამგვარი არსებითი ხასიათის რემონტი ან სახეცვლილება.

6. ფორს-მაჟორული გარემოება

6.1 ხელშეკრულებაში გამოყენებული მნიშვნელობით, ტერმინი ფორს-მაჟორული გარემოება გულისხმობს შემდეგი გარემოების არსებობას (რომელიც უშუალო ზეგავლენას უნდა ახდენდეს შესაბამისი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე):

6.1.1 ხანძარი და აფეთქება (გარდა იმ შემთხვევისა, რაც გამოწვეულია რომელიმე მხარის მიერ), სტიქიური უბედურება;

6.1.2 სამხედრო მოქმედებები, აჯანყებები, არეულობები, სამოქალაქო ომები და მღელვარებები;

6.1.3 საკანონმდებლო აქტის გამოცემა, რომელიც კრძალავს იმ საქმიანობის განხორციელებას, რასაც ახორციელებს ხელშეკრულების რომელიმე მხარე;

6.1.4 მხარეთა კონტროლს დაუქვემდებარებელი ნებისმიერი სხვა გარემოება. ამასთან, ეს გარემოებები მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2 ქვეიჯარის საგანთან ან მის მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს რომელიმე მხარის მიერ მისი ვალდებულების შესრულების ან უფლების განხორციელების შეუძლებლობას, მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედების გამო, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომისთანავე აცნობოს მეორე მხარეს, რა დროსაც მის მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ვადით. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის და ამის გამო ქვეიჯარის საგნის გამოყენების შეუძლებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში საიჯარო ქირა (საიჯარო ქირის შესაბამისი ნაწილი, თუ ფორს-მაჟორული გარემოება ეხება მხოლოდ ქვეიჯარის საგნის რომელიმე ნაწილს) არ ექვემდებარება გადახდას ქვემოიჯარის მიერ.

6.3 თუ ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედება გრძელდება 60 (სამოცი) დღეზე მეტ ხანს, ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით. ამ შემთხვევაში თითოეული მხარე ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები.

7. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

7.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

7.1.1რეგისტრირებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში;

7.1.2 აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;

7.1.3 ხელშეკრულების ხელმოწერით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ ან/და არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას ან/და სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს;

7.1.4 იცნობენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

7.2 ქვემეიჯარე იძლევა გარანტიას და ქვემოიჯარის სასარგებლოდ აცხადებს, რომ:

7.2.1 ქვემოიჯარეს ხელი არ შეეშლება ქვეიჯარის საგნით სარგებლობაში და განახორციელებს ყველა საჭირო ქმედებას ქვემოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების ფარგლებში, ქვეიჯარის საგნით სარგებლობისათვის;

7.2.2 წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რომელიც დაკავშირებულია ქვეიჯარის საგანთან და რითაც ამავდროულად საფრთხე ექმნება მის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესრულებას;

7.2.3 წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელ პერიოდზე დაიცავს მისი მონაწილეობით ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2.4 ქვეიჯარის საგანს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რომლის არსებობაც შეამცირებდა ქვეიჯარის საგნის ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა ქვეიჯარის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არასათანადოდ შესრულებისთვის, მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ქვემეიჯარის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში, ქვემოიჯარე უფლებამოსილია ქვემეიჯარეს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველდღიურად, ერთი თვის საიჯარო ქირის 0,04%-ის ოდენობით. ქვემეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს ქვემოიჯარეს პირგასამტეხლო დაკისრების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება ან გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან, გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

10. ზოგადი დებულებები

10.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

10.2. ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია, მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება თან ერთვის მას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი, მიღება-ჩაბარების აქტი, ასევე, ნებისმიერი ცვლილება, დამატება, შესწორება, მხარეთა ნებისმიერი წერილობითი შეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების გარშემო, რომელიც აზუსტებს ან განსხვავებულად განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მისი მოქმედების ვადით.

10.5. წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას.

10.6. წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

10.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებენი და სხვვა კომუნიკაციები უნდა ჩაბარდეს მხარეს პირადად ან გაიგზავნის დაზღვეული გზავნილით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე. ამასთან, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება მხარეების რეკვიზიტებს, სხვა მხარე(ებ)ს უნდა ეცნობოთ ამგვარი ცვლილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული მხარის მიერ და სხვა მხარე(ებ)ს არ აქვს მიღებული შესაბამისი შეტყობინება რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

10.8. საკითხები, რომლებიც არ არის` მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.


11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„ქვემეიჯარე“: **შპს „ლისის ტბის რეკრეაცია“** მისამართი: ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საიდენ/კოდი: 404947625 ს.ს ,,თიბისი ბანკი'' ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE06TB7393536080100002 **დირექტორი** _____ კახაბერ ხიდეშელი	**„ქვემოიჯარე“:** **შპს „კავკასუს ავტომოტივი”** მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №137 საიდენ/კოდი: 405302836 ს.ს ,,თიბისი ბანკი'' ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE34TB7912236060100002 **დირექტორი** _____ მანანა ხინაშვილი

დანართი N1

(შპს „ლისის ტბის რეკრეაციასა“ და შპს შპს ,,კავკასუს ავტომოტივი” შორის 2026 წლის 9 სექტემებრს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების თაობაზე)

1. რკინის კონსტრუქცია დამზადებულია 200*200*4 მმ მილკვადრატი პროფილისგან, შეღებილი მუქ ნაცრისფრად.
2. იატაკი რკინის კონსტრუქციაზე გადაკრული 20-მმიანი ემ დე ეფი და ზევიდან ალუმინის კომპოზიტური პანელური ვერცხლისფერი.
3. ჭერი ვერცხლისფერი ალუმინის კომპოზიტი.
4. ზემოდან სახურავი ვერცხლისფერი ალუმინის კომპოზიტი.
5. სამი გვერდი ალუმინის პროფილში ჩასმული 10მმ-იანი ნაწრთობი შუშა.
6. 1 გვერდი 2 დრთიანი რკინის პროფილის კარში ჩასმული 10 მმ-იანი ნაწრთობი შუშა.



„ქვემეიჯარე“: **შპს „ლისის ტბის რეკრეაცია“** მისამართი: ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საიდენ/კოდი: 404947625 ს.ს ,,თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE06TB7393536080100002 **დირექტორი** **კახაბერ ხიდეშელი**	**„ქვემოიჯარე“:** **შპს „კავკასუს ავტომოტივი”** მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №137 საიდენ/კოდი: 405302836 ს.ს ,,თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE34TB7912236060100002 **დირექტორი** **მანანა ხინაშვილი**

შპს ლისის ტბის რეკრეაცია
ს/კ 404947625
მის.: ქ.თბილისი, წეკერჩხლის ქუჩა N6
ტელ.: 558 207 207

თანხმობა

ქ.თბილისი **6 ოქტომბერი, 2026 წ.**

შპს "ლისის ტბის რეკრეაცია" (ს/კ 404947625), როგორც უძრავი ქონების, რომლის საკადასტრო კოდია: 01.14.17.001.232 **(შემდგომში „უძრავი ქონება")** მფლობელი კომპანია (ჩვენსა და სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს" ს/კ 404857534 შორის გაფორმებული ოჯარის ხელშეკრულების საფუძველზე), ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ **შპს „კავკასუს ავტომოტივმა" (ს/კ: 405302836)** მიმართოს ქ. თბილისის მერიას „უძრავ ქონებაზე" განსათავსებელი კონსტრუქციის პირველი კლასის სამშენებლო ნებართვის მისაღებად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,
შპს "ლისის ტბის რეკრეაცია"
(ს/კ 404947625)




დირექტორი
კახაბერ ხიდეშელი
(პ/ნ 01024000912)

6 ოქტომბერი, 2026 წელი

სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“ (ს/კ 404857534), როგორც უძრავი ქონების, რომლის საკადასტრო კოდია: 01.14.17.001.232 ***(შემდგომში „უძრავი ქონება“),*** მესაკუთრე ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ **შპს „კავკასუს ავტომოტივმა“ (ს/კ: 405302836)** მიმართოს ქ. თბილისის მერიას, „უძრავ ქონებაზე“ განსათავსებელი კონსტრუქციის პირველი კლასის სამშენებლო ნებართვის მისაღებად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქვე განვმარტავ, რომ „უძრავი ქონება“ ამ ეტაპზე იმყოფება შპს “ლისის ტბის რეკრეაციის“ (ს/კ 404947625) მფლობელობასა და სარგებლობაში, ჩვენს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

გენერალური დირექტორი: ნიკა ხაზარაძე (პ/ნ 01030018090)



ნეკერჩხლის ქუჩა #6, თბილისი 0159
tbi@lisi.ge / www.lisi.ge
ტელ: (+995) 322 00 27 27